გენილი ან სქემის სახით, ან მუშაობის მიმართულებისა და მისი მიმდევრობის აღწერილ თითოეულ ეტაპზე. მაგალითად, პერსპექტიული გეგმა წერა-კითხვის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან, თავ აქვთ ბგერათწარმოქმნის დარღვევებიც, უეჭველად ითვალისწინებს კორექციული მუშაობის ორ, ურთიერთთან დაკავშირებულ მიმართულებას: დარღვეულ ბგერათა დაყენებასა და ჩართვის მეტყველებაში და სიტყვის ბგერითი შედგენილობის ანალიზისა და სინთეზის განვითარებას. შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემით:



ანდიკიდეუაფურის შეცადინეობა	საათების რაოდენობა	ფორმალური შეცადინეობა სიტყვებს ბგერითი ანალიზისა და სინთეზის გამოსაშვ შეფუძნების მიზნით		
პირველი ბგერების დაყენება სხვადასხვა ფონეტიკური ჯგუფიდან	შეცადინეობის შინაარსი	სამეტყველო მ. ს. ს. ლ. ს.	მოწყობილობა	საათების რაოდენობა
1	2	3	4	5
№ № დასაყენებელი ბ გ ე რ ი	1 ე ტ . 3 ი	ამ ანალიზისა და სინთეზის განმტკიცება, რომელსაც ფილოს ბგერითი, ზემირი და წერითი სავარჯიშოები		
<p>1. ს 1-2 2. სლ 1-2 3-4 სლბ 3 5-6 ზლბ 3 9-50 შრბ დაფა 3</p> <p>ა) მათი განმტკიცება ზეპირმეტყველებაში-მარცხელში, სიტყვაში, წინადადებაში, ტექსტში.</p>	<p>თემა ერთ-ერთი პირველი შეცადინეობისა, ხმოვანებისა და მართებულ თანამოხვევების დაზუსტება. წინადადების დაყოფა სიტყვეებად. მართებულ ბგერითი სიტყვების დამარცხვა, და და დაბურთულ მარცხელის სიტყვების დამარცხვა. თხა, დაფა, ხახვი.</p>	<p>უნდა შეირჩეს მართებულ ბგერებსაგან შემდგარი სიტყვები.</p>	<p>სურათები მეტყველების გასაერთიერებლად, მოძრაი ანბანი, ფრადი ქალღმების ზოდები.</p>	<p>3</p>



საქართველოს
ხალხური მემკვიდრეობის
სამეცნიერო ცენტრი

ბ) ახლად დაყენებულ ბგერის ანაღიზი და სხეთხი „დაფის“ ტიპის სიტყვენი.

ერთმარცვლიანი და ვართულებელ მარცვლიანი სიტყვის ანაღიზი და სხეთხი.

რთული კონსტრუქციის წინადადების ანაღიზი ვასპტკოვების ბგერის შესატყვისი ასის გამოყენებით.

ერთ-ერთი მეცადინეობის თემა: ასო-ბგერა „მ“. „შ“ ბგერის არტკულაცია და წარმოქმნა. შ ბგერის განტკიცება მარცვლებში, სიტყვებში და წინადადებებში. „შ“ ბგერის სიტყვის გამოყოფა წინადადებაში და ბგერის ადგილს განსაზღვრა სიტყვაში. „შ“ ბგერის სიტყვის შედგენა და მათი ანაღიზი, ორ და სამმარცვლიანი სიტყვები. პირდაპირი და შებრუნებული მარცვალი (შავი, ნიშანი, კაშკაში).

II ე ტ ა პ ი

დაყენებული ბგერების ჩართვა შეტყვისებაში. შავ. შ. და ბ (სხვადასხვა ფონეტიკით, ჯგუფიდან);

ა) ქარბად გამოიყენება ახლად დაყენებულ ბგერა, სხვა ბგერების დაყენებისთან ერთად ჩართვება შეცადინეობაში;

ბ) ადრე დაყენებულ ბგერებს გამოიყენება. სავარჯიშოდან უნდა გამოიჩიებოს დაყენებულ ბგერებთან ახლო მდგომი ბგერები შ, ს, ტ, ზ.

შ-ბგერისანი მარცვლები, სიუფერტი სურათები. სპეციალურად შეჩვენული ტექსტები, მოძრავი ანბანი

III ეტაპი. ს-შ ბგერათა დიფერენცია. მკუდიანების გაგზავნა ასლად დაფინანსებულ იარაღზე (მაგ. -ფ").



26.09.63 № 11
2023/01/010933

<p>ერთ-ერთი მკუდიანების თემა: ა/ს შ ბგერათა დიფერენცია: მათი არტო- კლასებისა და ბგეროვანების შედარე- ს-შ ბგერათა ვამო ყოფა სიტყვებდან. ახა- ლი სიტყვის ბოგინება ან ბგერაზე. ბ) ას-ბგერა დ-ს არტოკლასი და ბგერა. ბგეროვანები, დ-ბგერის განტოცეა მარ- ცდებში, სიტყვებში, წინადადებაში. დ-ს ვამო ყოფა, სიტყვებისა და წინა- დადებათა შედგენა, თანხმობის გეგ- სანი სიტყვები.</p>	<p>სადიფერენცია (ს/შ) და სხვა დინამიური ვიზუალის (დ) ბგერის ქართულ განხილვა. სავარჯიშოებშიდან გამო- ჩრეტულია ვერ დაუყენებელი</p>	<p>მარცვალთა ტანუ- ლები, შ, ს, გერების შემ- ცველი სენსორიკო და სოციალური სურათე- ბი. -დ- ბგერის შემცვე- ლი მარცვლების ტანუ- ლები, მიძრავი ანანი.</p>
---	--	--

4 ს

ცხადია, II-III კლასის იმ მოსწავლეებთან ჩასატარებელი მუშაობის პერსპექტიული გეგმა, რომელთაც აქვთ ფონეტიკური და ლექსიკურ-გრამატიკული გადახრები (არამკვეთრად გამოხატული მეტყველების განვითარებლობა), სხვანაირი იქნება. ამ შემთხვევაში მეტყველების განვითარებაში გადახრების კორექცია უნდა დაუკავშირდეს პროგრამული მასალის ხარვეზების კორექციას, რომელთა ათვისებაზეა დამოკიდებული სიტყვის ბგერითი და მორფოლოგიური შედგენილობის ანალიზის უნარი და მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის მოწესრიგება. ამისათვის უნდა ჩატარდეს შემდეგი მუშაობა:

I. მეტყველების განვითარებაში გადახრების დაძლევა (სრულფასოვანი მეტყველებისათვის საჭირო ენობრივ საშუალებათა მოწესრიგება და ჩამოყალიბება).

II. მასწავლებელთან ერთად მშობლიური ენის პროგრამულ მასალაში მეტყველების განვითარების ჩამორჩენილობით გამოწვეული ხარვეზების აღმოფხვრა.

III. კორექციულ-აღმზრდელი მუშაობა.

ამრიგად, ამ ჯგუფის ბავშვებთან ჩასატარებელი მუშაობის პერსპექტიული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს კორექციული ზემოქმედების ყველა მიმართულებას.

ლოგოპედ-მასწავლებლისათვის სავალდებულოა აგრეთვე თითოეული გაკვეთილისათვის გეგმის შედგენა, სადაც მითითებული იქნება თემა, მიზანი, მეცადინეობის ეტაპი და ამ მეცადინეობაზე გამოყენებული სასწავლო მასალა; გაკვეთილების გეგმა დგება თითოეული ჯგუფის პერსპექტიული გეგმიდან გამომდინარე. ასე მაგ.: გაკვეთილის გეგმა წარმოთქმის ნაკლოვანებისა და წერა-კითხვის დარღვევის მქონე მოსწავლეთა ჯგუფთან ლოგოპედიური მეცადინეობის I ეტაპზე ასეთი შეიძლება იყოს:

მეცადინეობის თემა: ასო—ბგერა შ.

მეცადინეობის მიზანი: შ ბგერის სწორი წარმოთქმა, მისი გაყოფა, სიტყვებში და წინადადებებში „შ“ მარცვლიანი სიტყვების სწორი წერა.

სამეცადინო აღქურვობა: მოძრავი ანბანი, სავნობრივი სურათები (—„შოთი“, „ბალიში“ და სხვა სპეციალურად შედგენილი ტექსტები შ ბგერისათვის).

მეცადინეობის გეგმა:

1. საშინაო დავალების შემოწმება და განვლილი მასალის გამეორება, შ-ბგერის სწორი არტიკულაცია. ენის, ტუჩების მდგომარეობა.

ექსპირაციული ჰაერნაკადი. წინადადების წაკითხვა; დაუწყე
წინადადების სქემის დაწერა. სიტყვაში მარცვალთა რაოდენობისა და
მაოცვალში „შ“ ბგერის ადგილის დადგენა.

2. ვარჯიში „შ“ ბგერის წარმოთქმასა და გამოყოფაზე სიტყვიდან: „შოთი“, „ბალიმი“, „მამი“, „ნიშანი“. ამ სიტყვების შედგენა მატრიაეი ასოებით და მათი წაკითხვა.

„შ“ ბგერის სიტყვის დასახელება.

„შ“ ბგერის გამოყოფა სიტყვიდან და მისი ადგილის დასახელება.

პირველი ან ბოლო ბგერის დასახელება სიტყვაში, ხმოვანთა ჩამოთვლა.

3. „შ“-ბგერა წინადადებაში და ტექსტში.

შ-ბგერის შემცველი წინადადების ჯკუფურად (მასწავლებელთან ერთად) და ინდივიდუალურად წარმოთქმა.

მასწავლებლის მიერ შ-ბგერის შემცველი ტექსტის წაკითხვა; თხრობა კითხვების საშუალებით (კითხვაში უნდა იყოს ჩამოთვლილი ყოველდღიურ გეგმაში).


4. მეცადინეოს შედეგი.

5. სამინათ დავალება: ტექსტის გადაწერა, გამოტოვებული ბგერის ან მარცვლის ჩამატება, ხაზის გასმა შ ბგერის ქვეშ (მოსწავლეებს ურიგდებით იგივე ტექსტი, დაწერილი ფურცლებზე).

კორექციული მუშაობის ეტაპები	მუშაობის შინაარსი შეტყუველ და განუთარგნის გადახრე-ის დასაძლევად	პედაგოგობაზე გამოყენებული გრამატიკული თემები	ადგილობრივი კორექციული მუშაობის შინაარსი შედეგების აღწერა
1	2	3	

<p>I ე ტ ა პ ი</p> <p>ბგერითი მხარის დარღვევების ხარვეზების შევსება.</p>	<p>წარმოთქმის დეფექტების კორექცია. სოფლყოფილ ფონეტიკურ წარმოდგენათა ჩათვლილება და ბგერათა განზოგადების სრულყოფა ბგერით ანალიზსა და სინთეზზე ვარჯიშის პროცესში.</p>	<p>გრამატიკული ცნობები: ბგერა და ასო. ხმოვნე .ი და თანხმოვნე-ბი. სიტყვების დამარცხ-ლა. შეშუაო და ყრუ ევრები.</p>	<p>სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და დაკვირვების უნარის ჩამოყალიბება. სმითიო ყუჩადლების, ძუნძოე .ის, თვითკონტროლის განვითარება.</p>
--	--	--	--

<p>II ე ტ ა პ ი</p> <p>დექლარატივ-გრამატიკულ განუთარგნაში ხარვეზების შევსება.</p>	<p>I. იმ სიტყვათა მიშეულობის დახუსტება, რა-ძღვსაც ფლობენ დაეძეა. ი. დექლარატივითა მათვის განდიდოეა ახალი სიტყვების ხარჯზე, სიტყვათწომოე .ის უნარის განკმაოე .ი.</p> <p>II. შეტყუველის გრამატიკული გაფორმების დახუსტება, ვარჯიშითა და სოფლყოფა, დაეძე .ის მიერ შესტყუვეათა ჩინადადებაში</p>	<p>გრამატიკული ცნობები. სიტყვის შედგენილობა: ერთ-იარ და შექმარეულიანი სიტყვე .ი, სულიერი და უსული საენები. საენის აღმნიშნელი და მიტყუე .ის აღმნიშნელი სიტყვა</p>	<p style="text-align: center;">- -</p>
---	--	--	--

1	2	3	4
<p>III. ე ტ ა პ ი</p> <p>გამზული მატყველების ჩამოყალიბების ხარვეზების შექმნა.</p>	<p>სიტყვათა კავშირისა და სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციების წინადადებათა მოდულების დაუფლება.</p> <p>I — დალაგებული თხრობის გამომუშავება:</p> <p>ა) თხრობის ლოგიკური თანმიმდევრობის დადგენა;</p> <p>ბ) ენობრივ საშუალებათა შერჩევა თხრობაში სხვადასხვა საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსაყენებლად (მტკიცება, შეფასება და სხვა).</p>	<p>ტყვეები: თანდაბელი, თავსართი და ბოლოსართი, არსებითი და ზედსართივე სახელი. ერთგვარისაგნების სახელები და მათი გამაერთიანებელი სიტყვები. სახელთა ბრუნვა, რიცხვი, ზმნის რიცხვი და დრო.</p> <p>მოცემულ მაგალითის მიხედვით წინადადების აგებისა და მისი გადაკეთების უნარის სრულყოფა.</p>	 <p>საგარეო უწყისი საგარეო უწყისი</p>



I ე ტ ა პ ი

თემა: ასო-ბგერა ე. შ-ე ბგერათა დიფერენციაცია.

მეცადინეობის მიზანი: შ-ე ბგერათა წარმოქმნის განმტკიცება (ინლივიდუალურად). ლექსიკონის გააქტიურება. კონტროლის და თვითკონტროლის ჩამოყალიბება.

მეცადინეობის თემის ახსნა-განმარტება.

სამეცადინეო აღჭურვილობა: ხმივანთა და თანხმომივანთა ტაბულელები; ბგერათა არტიკულაციის პროფილები.

მეცადინეობის გეგმა

შემდეგი სახის დავალებათა შესრულება:

1. დაუახლო დაწერილ ასოთაგან: კ, ქ, ჟ, ლ, უ, ა, ბ დ, სიტყვების შედენა და ე ბგერის გამოყვანა ამ სიტყვებიდან. ბგერა ე-ს არტიკულაციის დაზუსტება. შ-ე ბგერათა მსგავსებისა და განსხვავების აღდგენა, ამ ბგერათა დახასიათება.

2. ე-ს შემცველი სიტყვების წაკითხვა, სიტყვის ანალიზი და ე ბგერის დახასიათება.

3. ისეთი სიტყვების დაწერა, სადაც შ ბგერა იქნება შუაში (2 სიტყვა).

4. შეღერო თანხმომივანით დაწყებული სიტყვების დაწერა (3 სიტყვა)

5. 4 სიტყვით წინადადების შედგენა, სადაც თითოეულ სიტყვაში იქნება ყოუ ბგერა შ, ან მეღერი—ე.

6. შეღერ და ყრუ ბოლოთანხმომივანი სიტყვების სწორად დაწერა: კარვად, სწრაფად, ალბათ, ერთად, კალმით, გარეთ.

7. გამოტოვე ული ასოების ჩამატება სიტყვაში:

ვა—ი	რი—რაი
—ავი	ა—ლ უნებს
გი—ი	ბალი—შ
მა—ალო	ნი—ანი

მეცადინეობის შედეგების შეჯამება

მოგვყავს II ეტაპის მეცადინეობის კიდევ ერთი ხანიშუშო გეგმა.

თემა: სიტყვის შედგენილობა, ახალი სიტყვის შედგენა თავსართების საშუალებით.

მიზანი: სიტყვათა წარმოების საშუალებათა ცოდნა და განმტკიცება დამოუკიდებელ მატყველებაში.

მეცადინეობის გეგმა



1. დათაზე დაწერილი სიტყვების დაჯგუფება მარცვალთა კლასიფიკაციის დენობის მიხედვით (ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი მარცვლიანი სიტყვები).

2. ახალი სიტყვების წარმოება მაწარმოებლის საშუალებით

პური—მეპურე	საპურე	მიდის წერს
ურემი—	—	ამოდის წერს
ბალი—		— —
ბოსტანი—		— —
ლორი—		— —

ახლად შედგენილი სიტყვების შედარება მათი მნიშვნელობის მიხედვით.

3. სიტყვების სწორი დაკავშირება ერთმანეთთან: (მიდის, შედის) მოსკოვში, სახლში; აკეთებს, უკეთებს (დურგალი ბავშვს); კითხულობს, აკითხებს (მასწავლებელი ბავშვს).

4. ახალი სიტყვების წარმოება სიტყვიდან „ფრენა“.

5. თითოეულ მოსწავლეს ეძლევა ფურცელი პატარა ტექსტითა და დავალებით: წაიკითხე, გადაწერე, შეავსე სიტყვები.

მარილით დატვირთული ვირი მდინარეში . . . დიოდა.
 ფოტოლა და წყალში ჩაწვა. მარილი . . . დნა. საბალნეტ
 . . . იმსუბუქა და ვირი ადვილად . . . დგა. რამდენიმე დღის შემდეგ
 ამ ვირს ღრუბელი . . . კიდეს და იმავე გზაზე . . . იყვანეს.

თითოეული დავალების შესრულების შემდეგ აუცილებელია მისი შემოწმება.

სასწავლო წლის ბოლოს ლოგოპედ მასწავლებელი ადგენს ჩატარებული მუშაობის წლიურ ანგარიშს შემდეგი საკითხების გაშუქებით:

მეტყველების ნაკლის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, თითოეული ბავშვის ასაკი, მოსწრება და მეტყველების ნაკლი.

ლოგოპედიურ პუნქტში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა, მეცადინეობა ჯგუფში და ინდივიდუალურად, მათი გამოშვება და დატოვება სამეცადინოდ შემდეგი წლისათვის.

მოსწრების ჩვენება ლოგოპედიური მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრებისას.

ლოგოპედის მიერ მასწავლებლებთან, მშობლებთან, ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელებული კავშირის ფორმები და ლოგოპედიური პროპაგანდის სახეობა.



ლოგოპედიური დახმარების ეფექტურობა ბევრად დასტურდება დედული ლოგოპედის კონტაქტზე მასწავლებელთან და მშობლებთან ერთად. ამასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ეძლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ლოგოპედის მუშაობაში ლოგოპედიური ცოდნის პროპაგანდას მასწავლებლებში, საბავშვო ბაღების აღმზრდელებსა და მშობლებში.

ლოგოპედისა და მასწავლებლის კონტაქტი იწყება მოსწავლეთა მეტყველების შემოწმებით კლასში და გრძელდება მთელი წლის განმავლობაში, ამ კლასის მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში.

მეტყველების ამ ნაკლოვანებათა სპეციფიკის ცოდნა, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლევას წერა-კითხვის ათვისებაში, საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჩაატაროს ჩამორჩენილ მოსწავლეთა დიფერენციაცია.

თავის მხრივ ლოგოპედ-მასწავლებელი კარგად უნდა ერკვეოდეს მშობლიური ენის სწავლების შინაარსსა და მეთოდებაში; უნდა იცოდეს პროგრამა, რა თემას გადიან კლასში და ჯგუფთან მეცადინეობისას, გაითვალისწინოს მშობლიურ ენაში საპროგრამო მოთხოვნების დონე.

ლოგოპედ-მასწავლებელი აცნობს მასწავლებელს წარმოაქმის ნაკლოვანებათა გამოსწორების იოლ ხერხებს და დახმარებას უწყევს, გაერკვიოს მოსწავლეთა წერა-კითხვისას დაშვებულ შეცდომებში.

ლოგოპედ-მასწავლებელს დიდი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ მშობლებსაც. მოსწავლეთა ლოგოპედიურ პუნქტში ჩარიცხვა მიზანშეწონილია ჩატარდეს მშობელთა თანდასწრებით: ლოგოპედ-მასწავლებელი მშობლებს დაწვრილებით აცნობს მათი შეილენის მეტყველების დარღვევათა თავისებულებას და უტარებს მათ კონსულტაციას საშეტყველო რეჟიმის შესახებ სახლში.

მიზანშეწონილია მშობელთა ლოგოპედიურ მეცადინეობაზე დასწრება. დაკვირვება ლოგოპედ-მასწავლებლის მიერ გამოყენებულ ხერხებზე საშუალებას აძლევს მშობლებს უფრო მიზანდასახულად დაეხმარონ თავიანთ შვილებს სახლში.

ლოგოპედიურ მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების უზრუნველსაყოფად მშობლები მასწავლებლების თანაბრად არიან პასუხისმგებელნი.

მშობლებთან კავშირს სხვადასხვანაირად ხორციელდება: ინდივიდუალური საუბრების, კონსულტაციებისა და ზეპირდულად მშობელთა კრებების ჩატარების სახით.

ლოგოპედის, მასწავლებლისა და მშობელთა მჭიდრო კავშირი და კონტაქტები მასწავლო-კორექციული მუშაობის მაღალი შედეგების საწინდარია.

V. მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია



ქალაქში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან რაშიდენიძე-ლოგოპედიური პუნქტისა და სხვა ლოგოპედიური დაწესებულებების არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, იქმნება (ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში შემავალ ლოგოპედიური დაწესებულებებთან ერთად ან ცალკე) ლოგოპედიკა მეთოდური გაერთიანებები საქალაქო ან მეთოდოკანონებთან, მძიმე დარღვევის მქონე მოსწავლეთა სკოლებთან ან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან.

მეთოდურ გაერთიანებაში განიხილება სხვადასხვა სახის საკითხები, რომელიც მოითხოვენ კოლექტიუო გადაწყვეტას. ლოგოპედიური პუნქტების ორგანიზაცია (წერა-კითხვის ნაკლოვანების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა, ლოგოპედიური პუნქტებისა და სამედიცინო ჯგუფების დაკომპლექტება, მეცადინეობაზე დასწრების ორგანიზაცია და სხვა მეთოდური საკითხები), მეტყველების ნაკლოვანების გამოვლენა და მისი კლასიფიკაცია, თითოეული ჯგუფის სასწავლო-კორექციული მუშაობის დაგეგმვა, მეტყველების ნაკლოვანებათა და მეტყველების განვითარების ანომალიების დაძლევის სხვადასხვა საკითხები და სხვა. სპეციალურ ლიტერატურის დამუშავება რეფერატების სახით ლოგოპედიის პრობლემაზე (თეორიულ-პრაქტიკულ ასპექტში) და მთლიანი ენის სწავლის მეთოდების საკითხებზე როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპეციალურ სკოლებში და სხვა.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1976 წლის 24 სექტემბრის ბრძანება № 892**

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ XXV
ყრილობის მასალების გაცნობის, შე წავლისა და პროპაგანდის
მდგომარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, რუსთავეში, ბათუმში, გორის რაიონში და სხვ. საკითხის შემოწმებამ, კოლეგიის სხდომებზე ქ. ქ. რუსთავეის, ბათუმისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებების გამგეთა ინფორმაციების მოსმენამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სახალხო განათლების ორგანოებს გარკვეული ღონისძიებები აქვთ გატარებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის გაცნობის, სწავლებისა და პროპაგანდის საქმეში.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები თავიანთ მუშაობაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების მოსწავლეთათვის გაცნობის საქმეში განუხრელად ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური მითითებით— „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ XXV ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 22 მარტის № 292 ბრძანებით— „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ“, 1976 წლის 4 ივნისის № 579 ბრძანებით— „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების შესწავლისა და პროპაგანდის შესახებ“, 1976 წლის 30 იანვრის № 63 ბრძანებით „საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვე-

ტილებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სისტემის დაყენებულულების მუშაობის შესახებ, აგრეთვე ამ საკითხებზე შემუშავებული სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები და რეკომენდაციები.

განათლების საინსტროს კოლეგიაზე აწლის 17 სექტემბერს ქ. ბათუმისა და გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებების გამგეების ამბ. ამბ. დ. ლლონტისა და ა. ჩიეიძის ახგაიშქის მოსმევამ გამაველინა, რომ განათლების განყოფილება-სა და სკოლეს შემუშავებული აქეთ ყრილობების მასალების სწავლებისა და პოპაგანდის კოხეოტული გეგმე.ი. ისინი განიილულია ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ღია პარტიულ კოეაეზე ამ პედაგოგიური სასქის სიდიამე.ზე.

გეო კიდევ XXV ყრილობის მსვლელობის პერიოდში სკოლებში მოეწყა სკებ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის ამბ. ლ. ი. ბრეხვევის საანგაიძო მოხსენების კოლექტიური მოსმენა-განხილვა, ხი.ლა მისი დ.მავერების შეძდეგ მასოიოვად მოეწყა შეხვედოე ი სკებ XXV და საქართველოს კბ XXV ყრილობების დელეგატე-თახ: გორის რაიონის მასწავლეთა აქტივი შეხვდა ა. კავკასიუსა და ვ. თათოაშვილს, დელეგატეს შეხვდნენ აგრეთვე ქ. ბათუმის №№ 2, 4, 6, 11, 14, 18, 23, გორის რაიონის ხიდისაყვის, შინდისის, ვაოიანის საშუალო სკოლეს, ატენის საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლეთა და მასწავლებლთა კოლექტივები.

1970 წლის 13 მაისს ჩატოდა გორის რაიონის პედაგოგიური საზოგადოების აქტივის კრება, რომელზეც მოსმენილ იქნა გახალისების გაყოფილება-ს გამვის ამბ. ა. ჩიეიძის მოხსენება თემზე: „სკებ XXV ყრილობის შედეგები და რაიონის სახალხო განათლების შემუშავება ამოცანები“.

რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გასული სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედში ჩატოდა სკებ XXV და საქართველოს კბ XXV ყრილობებისადმი მიძღვნილი სპეციალური გაკვეთილები. სკოლაში გაკვეთილები ჩატოდა რეკომენდაციული თემატიკით, ამასთან, გათვალისწინებული იყო მასწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. მასწავლებელთა საგონიოი ხაზილი ჩვეულებრივ პოგოგამელ მასალას მიხეობეულად უკავშირებდა თანამედროვეობის, ჩენი ქვეყნის ცხოვრებაში მამადო მნიშვნელოვან როლებს. ამ მხიოვ წომატეაეს მიაღვიეს ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მ. მევიამ, მე-14 საშუალო სკო-

ლის ისტორიის მასწავლებელმა თ. ჭეიშვილმა, მ. თხილაიშვილმა,
24-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა
ბელმა ე. კოზინეცმა და სხვ.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
საგანგებო განყოფილება

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სწავლების
საკითხი სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების შუქზე განხილულ
იქნა მათელო რიგი სკოლების საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა
სხდომეაზე.

სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების წლიურ
ან ნახევარწლიურ სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია სკკპ XXV
ყრილობის მასალების შესწავლისა და პროპაგანდის მდგომარეობის
შემოწმებისა და შემდგომი გაუმჯობესების საკითხები.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმრავლესობას
აქვს სკკპ XXV ყრილობისა და მისი გადაწყვეტილებებისადმი მიძღ-
ვნილი ლამაზად გაფორმებული სტენდები, ალბომები, პლაკატი-
კედლის გაზეთები და სხვ.

XXV ყრილობის მასალების პროპაგანდისა და მიღებული სახელ-
მძღვანელო დადგენილებებისა და რეკომენდაციების განხორციელების
საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ ქალაქებისა და რაიონების
სკოლისგარეშე დაწესებული ულებები.

1976—77 სასწავლო წლის დასაწყისში, 1 სექტემბერს, რესპუ-
ბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა და მას-
წავლებელთა მიტინგეაზე წაკითხულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალურ
კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა
და საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართავა რესპუ-
ბლიკის მოსწავლე და სტუდენტი-ახალგაზრდობისადმი, პედაგოგ-ალმუ-
რდელისადმი, პროფესორ-მასწავლებლებისადმი—„ბეჯითი სწავლითა
და მუშაობით ვუბასუხოთ პარტიის ზრუნვას“.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რესპუბლიკის მთელი რიგი ქა-
ლაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ზო-
გადსაგანმანათლებლო სკოლებს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს
კპ XXV ყრილობის მასალების გაცნობის, შესწავლისა და პროპაგან-
დის საქმეში გააჩნიათ გარკვეული ნაკლოვანებები.

მათელ რიგ სკოლებში ამ დიდი პოლიტიკური ხასიათის მუშაო-
ბას არ ექცევა სისტემატური ყურადღება. ამასთან, მოსწავლეთა შო-
რის მუშაობა ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ქ. ბათუმის
1-ლი და მე-9 საშუალო სკოლების მოსწავლეები სუსტად იცნობენ

სკკ XXV ყრილობისა და საქართველოს კ XXV ყრილობის მასალებს, რუსთაველ მეტალურგთა მოწოდებას და სხვ. თვით სკოლის კლას-გარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი მუშაკანდიდები სუსტად იცნობს ყრილობის მასალებს. მართალია, ამ სკოლებში რეკომენდებული თემების მიხედვით ყრილობის მასალების შესწავლას გასულ სასწავლო წელს სპეციალური გაკვეთილი მიეძღვნა, მაგრამ მიმდინარე სასწავლო წლის სექტემბერში ამ მიმართებით მუშაობა რატომღაც არ გაგრძელებულა.

შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების სკოლების კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებში შეტანილია საკითხები სკკ XXV ყრილობისა და საქართველოს კ XXV ყრილობის მასალების მოსწავლეთათვის გაცნობის შესახებ, მაგრამ არცერთ შემოწმებულ კლასის ხელმძღვანელს იგივე სამუშაო არ აქვს გათვალისწინებული მოსწავლეთა მშობლებს შორის.

გორის რაიონის სკოლებში, ყრილობების მასალებზე მუშაობის დროს, არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს: ატენის სკოლა-ინტერნატის მეორე და მესამე კლასების მოსწავლეები ყრილობის მასალებზე ისე ატარებენ საუბრებს, რომ ამას ბავშვებაში მხოლოდ გაუგებრობა და დაბნეულობა შეაქვს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილში სასკოლო კომპლექსიური და პიონერული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ XXV ყრილობის მასალების პროპაგანდის საკითხში. სკოლების პიონერულ ოთახებში არ არსებობს არავითარი სტენდი, ალაომი და კედლის გაზეთი, რომელიც ყრილობის მასალებს ასახავდეს.

სკკ XXV და საქართველოს კ XXV ყრილობის მასალების გაცნობის, შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში სკოლების პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებს ვერ უწყვიან სათანადო დახმარებას სასკოლო ბიბლიოთეკები. ბევრგან ბიბლიოთეკის გამგეები მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ მაგიდაზე უწყვიათ ორიოდ გაზეთი და ჟურნალი ყრილობის მასალებით.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში თითქოს მუშაობენ ყრილობათა მასალებს შესწავლასა და პროპაგანდაზე, მაგრამ ძალზე უჭირთ შესრულებულის მონახვა და ჩვენება. სკოლების ერთ ნაწილში ყურადღებას იქცევს კედლებზე სრულიად უგემოვნოდ, უხარისხოდ, უადგილოდ გამოკრული მასალები, რასაც ზოგჯერ სტენდებად თვლიან.

მთელი რიგი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ არასაკმარის მუშაობას ეწევიან მოსწავლეების მშობელთა შორის XXV ყრილობის მასალების პროპაგანდის საკმეში.

ეროვნული
შეზღვევის

სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების უპირველესი ამოცანაა უახლოეს მომავალში დაძლიან ხარვეზები და ნაკლოვანებები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესწავლისა და განხორციელების საქმეში, მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს ყრილობების გადაწყვეტილებათა შექმნე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების გაცნობის, შესწავლისა და პროპაგანდის საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებმა, სამრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქ-ლაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

1. 1. დაუყოვნებლივ შეადგინონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების შესწავლა-პროპაგანდის შემდგომ ღონისძიებათა გეგმა. ამ საქმეში იხელმძღვანელონ ზემდგომი ორგანოების მითითებებითა და რეკომენდაციებით.

1. 2. მტკიცე კონტროლი დააწესონ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა მუშაობაზე, სისტემატურად შეამოწმონ, როგორ მიმდინარეოს სკოლაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების სწავლება.

1. 3. ყრილობის მასალების სწავლების პარალელურად, განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ რუსთავეის მეტალურგიულ ქარხნის კოლექტივის მოწოდებას, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისადმი, პედაგოგ-აღმზრდევებისადმი, პროფესორ-მასწავლებლებისა და მშობლებისადმი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა სა-ჭოს, საქართველოს პროფ-ს.ბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შესწავლასა და მის ცხოვრებაში განხორციელებას.

1. 4. აქტიუმი მუშაობა გააჩაღონ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III (ივლისის) პლენუმის გადაწყვეტილების გაცნობისა და მისი პრაქტიკულად ხორციელებისათვის.

1. 5. აღნიშნულ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა განხორციელების, შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში ფართოდ ჩააბან საინფორმაციო გამოცდილების მქონე მასწავლებლები, მეთოდისტები, განათლების ხელმძღვანელი მუშაკები.

1. 6. თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი პედაგოგიური და მშობელთა სახალხო უნივერსიტეტების მუშაობაში გაითვალისწინონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ცნობილი დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების სწავლება და ფართო პროპაგანდა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა, სასწავლო-აღმზრდელით მუშაობაში დირექტორის მოადგილეებმა, კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორებმა, სხვა ტიპის ყველა სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულების ხელმძღვანელებმა:

2. 1. სასწრაფოდ შეადგინონ სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების მასალების შესწავლისათვის გათვალისწინებული გაკვეთილების ცხრილი. ამ საქმეში იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების მეთოდოკურო მითითებებითა და რეკომენდაციებით.

2. 2. სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებზე მასწავლებლებს და აღმოუჩინონ მათ მეთოდური და პრაქტიკული დახმარება.

2. 3. შეისწავლონ და პედაგოგიურ საბჭოებზე განსახილველად გაიტანონ საკითხი—სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების სწავლების, მათთან ჩვეულებრივ პრაგმატული მასალის დაკავშირების მდგომარეობა.

2. 4. საგნობრივ და კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების სტომებზე კომპლექსურად განიხილონ სწავლებისა და აღზრდის საკითხები სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს კპ ცკ-ის III (ივლისის) პლენუმის გადაწყვეტილებათა შტქზე.

2. 5. აქტიური მუშაობა გააჩაღონ სკოლის მიკრორაიონის მონაწილეობაში, პირველ რიგში—მოსწავლეების მშობელთა შორის, ფართოდ განუმარტონ მათ აღნიშნულ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

2. 6. გაშალონ აქტიური კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა—ჩაატარონ მოსწავლეთა, მშობელთა კონფერენციები, მიძღვნილ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური მნიშვნელობისადმი.

2. 7. სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების მასალების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III (ივლისის) პლენუმის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე რუსთავეის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის მოწოდებისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი მიმართვის გაცნობის, შესწავლისა და პროპაგანდის მიზნით ფართოდ გამოიყენონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ღონისძიებანი, პიონერული და კომკავშირული კედლის გაზეთები, სკოლის რადიოკენჭი და სხვა.

2. 8. თითოეულ მოსწავლეს მოსთხოვონ ამ მასალების და მუშაების ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და მათი პრაქტიკულად განხორციელებასათვის დააკისრონ მკაცრი პედაგოგიური პასუხისმგებლობა.

3. ზოგიდსაგანმანათლებლო სკოლების კლასის ხელმძღვანელებმა აქტიური მუშაობა გააჩაღონ ზემოაღნიშნული ფუნქციონალური დოკუმენტების მოსწავლეთა და მათი მშობლებისათვის გაცნობის, სწავლებისა და პროპაგანდის მიზნით. ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ სკოლის საერთო ღონისძიებათა გეგმით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების მეთაორიკური მითითებებით.

4. საგნების მოსწავლეობაზე საგაკვეთილო მასალა მტკიცედ დაუკავშირონ თანამედროვეობას, მთელ თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მითითებებს და რეკომენდაციებს, სისტემატურად იზრუნონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური, თეორიული ღონის ამაღლებისა და შემდგომი პრაქტიკული დახელოვნებისათვის.

5. მოსწავლეთა დახელოვნების ცენტრალურმა, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ცხინვალის ინსტიტუტებმა (ამტ. თ. ზაბაშვილი, ა. ელიზბარაშვილი, ე. ჯულაყიძე, რ. აგრაბა, მ. ქიქავა, მ. ლობჯიანი) მოსწავლეებელთა გადამზადების საკუროსო ღონისძიებათა გეგმეაში გაითვალისწინონ სკკპ XXV ყრილობის მასალების სწავლება.

6. განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, საღამოს სკოლების აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოებმა (ამხ. ამხ. რ. კანდელაკი, თ. ნიკოლაძე, გ. გუჯეჯიანი, თ. ქუენტი) სისტემატურად შეამოწმონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლისა და პროპაგანდის მდგომარეობა, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ორგანოებსა და სკოლებს ამ საქმეში. საქაროების შემთხვევაში საკითხი შემოიტანონ კოლეგიაზე განსახილველად.

7. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ სკოლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოებს (ამხ. ამხ. რ. კანდელაკი, თ. ქუენტი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის სექტემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

ოთ. ქინჭლაძე

საქართველოს სსრ ზანათლების სამინისტროს 1976 წლის
6 ოქტომბრის ბრძანება № 915

1976 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკაში მომზადარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და შემდგომში მათი აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ-საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის მიმდინარე წლის გადაწყვეტალებაში (ოქმი № 34) აღნიშნულია, რომ გასული 1975 წ. ამავე პერიოდთან შედარებით აღგილი აქვს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შემცირებას. მიუხედავად ამასა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს მაინც აქვს საკმაო რაოდენობით აღგილი, რაც უმთავრესად ფეხით მოსიარულეთა მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევითაა გამოწვეული.

1976 წლის პირველ კვარტალში ოესპუბლიკაში აღრიცხული 476 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევიდან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებათა კუთვნილი ავტოტრანსპორტის მიერ მოხდენილია 5 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც გარდაიცვალა 1 და დასახიჩრებულია 5 მოზარდი.

1976 წლის 9 მარტს, 14 საათზე, ქ. სოხუმის მე-20 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის „გაზ-51“ ტიპის № 47-81 გრა სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც გამოუცდელი მძღოლი (არ ჰქონდა ავტომობილის ტარების უფლება) გ. ნ. ვასილენვი მართავდა, ქ. სოხუმში დაეჯახა ფეხით მოსიარულე მოზარდს, რომელიც გარდაიცვალა;

1976 წლის 19 მაისს, 21 საათსა და 20 წუთზე, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს „რაფის“ მარკის № 81-43 გრპ ავტომანქანით, რომელსაც მე-3 კლასის მძღოლი რ. ვ. სურმავა, მართავდა, ქ. სოხუმის მშვიდობისა და გოგელიას ქუჩის შესახვევში, მოძრაობის წესების დარღვევით მომზადარი ავარიის შედეგად დასახიჩრებული იქნა 2 მოზარდი;

ა/წლის 2 თებერვალს, 19 საათზე, კასპის სკოლა-ინტერნატის „გაზ-51“ ტიპის № 46-36 გრკ ავტომანქანა, რომელსაც არაფრებზე მდგომარეობაში მყოფი მე-3 კლასის მძღოლი ო. ს. ილერაძე მართავდა, კასპი-იგოეთის გზის მარცხენა მხარეზე გადმოსვლისას დაეჯახა და დაასახიჩრა ერთი მოზარდი;

1976 წლის 30 აპრილის. 13 საათსა და 30 წუთზე, ქ. ფოთის სახალხო განათლების განყოფილების „ტგ—200 ტიპის № 62-70 გრკ ავტომანქანა მოტოციკლის მძღოლმა რ. ა. ქორჩილაძემ ქ. ფოთის ნინოშვილის ქუჩაზე მოძავალ ტრანსპორტზე გასწრების წესის ოარღვევის შედეგად გამოწვეულ ავარიით დაასახიჩრა ერთი მოზარდი;

ა/წლის 20 მაისს 13 საათსა და 30 წუთზე ქ. სამტრედიის სახალხო განათლების განყოფილების „მ-412“ ტიპის № 30-90 გას ავტომანქანით, მძღოლმა ვ. გ. ვაშაქიძემ ქ. სამტრედიის კიროვის ქუჩაზე რიგიდან მოულოდნელი გამოსვლით გამოწვეული დაჯახებით დაასახიჩრა ერთი მოზარდი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, მათ მეთოდურ კაბინეტებს, სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს არა აქვთ სახელმწიფო ავტომანქანების სადკომი გარაეეი და ღამით მძღოლები მათ საკუთარ ეზოებში აყენებენ.

ზოჯვერ ადგილი აქვს ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევებს ეს განსაკუთრებით იაქმის იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, რომლებსაც სასწავლო მიზნით გადაეცათ სატვირთო და მსუ უქი ავტომანქანები.

მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, მაინც ადგილი აქვს მძღოლის ჯანმრთელობისა და ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებლობის, შორეულ მანძილზე ავტოტრანსპორტის თვითნებურად გაგზავნისა და სხვა შემთხვევებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გადაამოწმა კომისიის დადგენილებაში აღწერილი განათლების სისტემაში მომხდარი 5 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოძწვევი მიზეზები.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანოების ხელმძღვანელების ყურადღებას მივიპკრობ რა ზემოაღნიშნული უაე-კური შემთხვევების გამოძწვევი მიზეზებისა და არსებულ ნაკლოვანებებზე, მათი აღმოფხვრის მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ გასამჭიდოელი ზომები ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრელად; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა და მოზარდთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის აღკვეთისათვის განსაკუთრებული ღონისძიებების დასახევისა და განხორციელებას;

ბ) სპეციალურად გაიხილონ კოლეგებისა სახალხო განათლების საბჭოების სხდომებსა და თათბირებაზე ძირითადი თითოეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, ტრანსპორტის ყველა მუშაკის მონაწილეობით და მიიღონ მკაცრი სასჯელის ზომა დამნაშავეთა მიმართ;

გ) აღმოფხვრან ავტოტრანსპორტის მქონე დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ ხაზზე ტექნიკურად გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაშვების შემთხვევები;

დ) არ დაუშვან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 8 იანვლის № 3 დადგენილების დარღვევის არც ერთი შემთხვევა; აკრძალონ მძღოლთა მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დამიო სახლში გაჩერება;

ე) უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის მეორე რესპუბლიკური კონკურსის დევიზით—„იცოდე და დაცავი საგზაო მოძრაობის წესები“ ორგანიზებას ჩატარება;

ვ) მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ამ ბრძანებაში აღნიშნულ ავარიის ჩამდენ დანაშავე პირებს დაედოთ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი, ზოგიერთი კი დათხოვნილ იქნა სამუშაოდან;

ზ) დაიყვანონ აღნიშნული ბრძანება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამდე, სკოლისკარგზე დაწესებულებებამდე და მკაცრი კონტროლი დაწესონ მისი შესრულების მიმდინარეობაზე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) სკოლის ყველა მუშაკამდე დაიყვანონ აღნიშნული ბრძანება და მკაცრი კონტროლი დაწესონ მისი შესრულების მიმდინარეობაზე;

ბ) მოსწავლეებთან სისტემატურად ჩატარონ ლექცია—საუბრები საკუთარი და მოწვეული ძალებით, ქუჩაში მოძრაობის წესების შესრულებაზე და იმ საკითხებზე, თუ რა მძიმე შედეგი მოსდევს ამ წესების დარღვევას;

გ) უზრუნველყონ მეორე რესპუბლიკურ კონკურსში დევიზით —
„იცი და დაიკავი საგზაო მოძრაობის წესები“ ყველა მოსწავლეს
შონაწილეობა და ორგანიზებად ჩატარება.

3. სკოლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოებში
(ამხ. იმხ. რ. კანდელაკი, თ. ჟღენტმა) განახორციელონ კონტროლი იმ
ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე და საჭიროების შემთხვევაში
საკითხი შემოიტანონ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1976 წლის 17 სექტემბრის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე

უშ. ოზოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება № 930

ნორჩ მათემატიკოსთა მეოცე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა
და ოცდანეერთე ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

1975-76 სასწავლო წელს მეოცე რესპუბლიკური ოლიმპიადის სკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 9. 340-მა მოსწავლემ, მათ შორის 3. 100-მა სოფლის სკოლებიდან, საქალაქო (სარაიონო) ოლიმპიადეზე მონაწილეობა მიიღო 5. 340-მა მოსწავლემ, მათ შორის 2. 100-მა სოფლის სკოლებიდან. ზონალურ ტურში—4. 200-მა მოსწავლემ, მათგან 852-მა სოფლის სკოლებიდან, რესპუბლიკურ ოლიმპიადეზე მონაწილეობა მიიღო 859-მა მოსწავლემ, რომელთაგან გაიმარჯვა და I, II, III ხარისხის სიგელუბით დაჯილდოვდა VIII-X კლასების 465 მოსწავლე.

1975-1976 სასწავლო წელს სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლების პედკოლექტივემ სათანადო ღონისძიებანი გაატარეს მათემატიკის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური ტურების მაღალ დონეზე მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარებისათვის, რის შედეგადაც ნორჩ მათემატიკოსთა მეოცე რესპუბლიკურ ოლიმპიადეზე თავი ისახელეს და მაღალი შედეგები გამოავლინეს: ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატების, ქ. თბილისის 23-ე, 52-ე, 116-ე, ქ. ბათუმის მე-2, მე-5, ქ. ქუთაისის მე-3, მე-19, ქ. ფოთის მე-4, წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანების საშუალო და სხვა სკოლების მოსწავლეებმა.

მოსწავლეთა X საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურში საქართველოს სსრ წარგზავნილი სამი მოსწავლიდან ორმა II და III ხარისხის დიპლომები მიიღო, რითაც ერთმა მათგანმა XI საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურში პერსონალური მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ზემოაღნიშნულ ერთგვარ წარმატებებთან ერთად, ამ მიმართებით ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე გამოსაგზავნი კონტინგენტის შეჩრევის საქმეს რივი რაიონებისა და ქალაქების საორგანიზაციო კომიტეტები პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ, დასკვნით ტურში მოსწავლეთა საკმაო ნაწილმა ცუდი შედეგები გამოავლინა. მაგ. სოხუმის მე-9, გალის რაიონის აჩიგვარას, ქ. გორის მე-6, ბოლნისის აზერბაიჯანული, ბოლნისის რაიონის არახლოს, მარნეულის, თეთრიწყაროს რუსული; წალკის რაიონის ნარდევანის, ღმანისის რაიონის კოროვის სახელობის, ორუზმანის, ახალქალაქის მე-4 და სხვა სკოლების მოსწავლეებმა. აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა ნაწილში უხეში შეცდომებია დაშვებული. ვლინდება, რომ დაბალია მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედების უნარი, ჯერ აიდევ არ არის დემკვიდრებული მათემატიკის თანამედროვე ენასიმრავლურ ლოგიკური ენა და შესაბამისი სიმბოლოებით სარგებლობა და სხვა.

ვ ბ რ შ ა ნ ე ბ ა :

§ 1

ოლიმპიადაში მონაწილეობისა და მიღწეული შედეგებისათვის დაჯილდოვდნენ:

- I ხარისხის სიგელით—X კლასების 4 მოსწავლე;
- II ხარისხის სიგელით—VII-IX კლასების 9 მოსწავლე;
X კლასების 42 მოსწავლე;
- III ხარისხის სიგელით—VIII-IX კლასების 75 მოსწავლე;
X კლასების 335 მოსწავლე;

§ 2

ნორჩ მათემატიკოსთა ოცდამეერთე ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რეაპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემადგენლობით:

1. თ. გეგელია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი (თავმჯდომარე)
2. რ. კანდელაკი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. გ. გიორგობიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (მდივანი)



- 4. მ. ფაჩუაშვილი — საქართველოს ალკა ცენტრალური ტექტის მდივანი
- 5. თ. ეგაძე — ქ. თბილისის განათ. განყოფილების გამგე
- 6. დ. ავაზაშვილი — ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი
- 7. ი. მეცხვარიშვილი — პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი
- 8. ი. მეცხოვრიშვილი — თბილისის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, დოცენტი
- 9. ნ. ლომჯარია — ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი
- 10. ქ. გაჯილაროვი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
- 11. მ. მანდარია — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
- 12. მ. ბებურიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტი
- 13. ა. აბაშიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი, პოლიტექნიკური და ტექნიკურ საშალებათა მეთოდკაბინეტის მეთოდისტი
- 15. მ. ბუბუტიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი
- 15. რ. ოვანიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი
- 16. ა. ცხადაია — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი
- 17. ა. ბუაძე — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე, სასწავლო დარგში

18. გ. წულაია — ვ. მ. კომაროვის სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი
19. ო. ლაღანიძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი
20. ა. გამაზოვი — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი
21. რ. შიშინაძე — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

ა) ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთდ);

ბ) სასკოლო ტური ჩატარდეს 1976 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1977 წლის იანვარში, ზონალური — 1977 წლის 20 თებერვალს, რესპუბლიკური — 1977 წლის 24-25 მარტს, სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურის ზუსტი თარიღი განისაზღვროს შესაბამის განათლების განყოფილებათა მიერ;

გ) დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეისწავლოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა; დაუყოვნებლივ დაზღვევოს ადგილებზე დებულებები;

დ) აუზაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დროულად დაიყვანონ სკოლებამდე ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება;

სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურის მომზადებისა და ჩატარების მიზნით, სკოლებსა და რაიონებში (ქალაქებში) შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტები;

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგვემოსაფინანსო სამმართველომ (ამხ. აღ. კვპ. ძე) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1977 წლისათვის გამოუყოს საქარო თანხა მათემატიკოსთა მეოცე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად;

ვ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამზარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. გ. კვიციანი) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო

სკოლა-ინტერნატს გამოუყოს ოლიმპიადის ჩასატარებლად საბეჭდო
ქაღალდი;

ზ) ეს ბრძანება, თანდართულ დებულებასთან ერთად, განხორციელდეს
იქნეს ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს
სხდომაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1976 წ. 12 ოქტომბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი

ა. ქინქლაძე



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადისა

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის ბაზაზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით ყოველწლიურად, სექტემბრიდან აპრილამდე.

